

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

"ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო
მხარდაჭერის პროგრამა"

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

თ ბ ი ლ ი ს ი

2017 წ.

პროგრამის ძირითადი არსია:

ა) - ევროპის ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი "ერზრუმი 2017" (თურქეთი)-ისა და ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი "გიორი-2017" (უნგრეთი)-ისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა;

ბ) - მსოფლიოს ზაფხულის II ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის "ზუენოს-აირესი 2018 " (არგენტინა) ნაკრები გუნდების მზადება და სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობა;

გ) "პიონ-ჩანგი -2018 ზამთრის XXII ოლიმპიური თამაშებისათვის" ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა;

დ) აღნიშნულ ღონისძიებების მზადების ციკლში ჩართულ სპორტსმენტათვის მაღალი დონის საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ასევე სხვა შეჯიბრებებში მონაწილეობა. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო და სამეცნიერო მომსახურება, სპორტსმენტა და მწვრთნელთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

ე) ოლიმპიზმის პროპაგანდა, ოლიმპიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

2- მიზნები და ამოცანები

პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

- ნაკრები გუნდების კანდიდატთა მზადება, მათი სალიცენზიო და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა.
- საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდებისათვის სრულფასოვანი რეზერვების მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.
- ევროპის ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი "ერზრუმი 2017" (თურქეთი)-ისა და ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი "გიორი-2017" (უნგრეთი)-ისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება და ფესტივალებში მონაწილეობა;
- მსოფლიოს ზაფხულის III ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის "ზუენოს-აირესი-2018" (არგენტინა) ნაკრები გუნდების მზადება და სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობა.
- "პიონ-ჩანგი -2018 ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის " ნაკრები გუნდების მზადება და სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობა
- სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება და მათი პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა.

- ოლიმპიური რბენის დღისა და სეოკ-ის დღის აღნიშვნა.
- ოლიმპიური ბიბლიოთეკისა და ოლიმპიური მუზეუმის მოწყობა და ნორმალური ფუნქციონირება, მათი შესაძლებლობების ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომობა.
- სეოკ-ის ვებ-გვერდის განახლება და ფუნქციონირება, ოლიმპიური ატრიბუტიკის დამზადება.
- ოლიმპიური ენციკლოპედიის გამოსაცემად მომზადება.
- პროექტის „ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების“ ფარგლებში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებზე ლაშა ტალახაძეზე და ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე მომზადებული წიგნების ბეჭდვა.
- ფოტოალბომის „ქართველები რიოში“ ბეჭდვა.
- ქართული ოლიმპიური მოძრაობის ყოველწლიური მემატთანის „ჟურნალი ოლიმპიელი“ გამოცემა.
- ქართულ ოლიმპიურ და სპორტულ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილის მქონე პირთა საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა.
- ყველა დროის ქართველ ოლიმპიელთა ფორუმის მოწყობა.
- საქართველოს რეგიონებში საყმაწვილო ოლიმპიური ენციკლოპედიის საპრეზენტაციო ღონისძიებების ორგანიზება.
- წიგნების სერიის „ათენიდან-რიომდე“ მომდევნო წიგნების „ატლანტა-1996“ და „სიდნეი-2000“ მომზადება და დაბეჭდვა.
- პროექტის - „ერთი ჩემპიონის ისტორიის“ ფარგლებში რიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებზე ლაშა ტალახაძეზე და ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე დოკუმენტური ფილმების მომზადება.
- ოლიმპიური ფესტივალებისა და სხვა მიზნობრივი ღონისძიებებისათვის საპრეზენტაციო ბუკლეტებისა და საინფორმაციო ცნობარების დაბეჭდვა, სეოკ-ის ლოგოიანი დროშების, ბანერების, სამკერდე ნიშნების, და სხვა სასუვენერო პროდუქციის დამზადება.
- მიზნობრივ ღონისძიებებზე საქართველოს სპორტსმენტა გაცილება-დახვედრის ცერემონიის მომზადება და სხვ.
- მზადების ციკლში ჩართულ სპორტსმენტათვის მაღალი დონის საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და შეჯიბრებებში მონაწილეობა მათი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო და სამეცნიერო მომსახურება, ფარმაკოლოგიური, აღდგენითი საშუალებებით უზრუნველყოფა.
- სპორტსმენტა და მწვრთნელთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

3 - პროგრამის რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთება

2017 წელს ძირითადი აქცენტი გადატანილია ევროპის ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი "ერზრუმი-2017" (თურქეთი)-ისა და ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი "გიორი-2017" (უნგრეთი) -ისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება-მონაწილეობაზე, აგრეთვე მსოფლიოს ზაფხულის III ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის "ზუენოს-აირესი -2017 " (არგენტინა) ლიცენზიების მოპოვებაზე, "ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის პიონ-ჩანგი - 2018 " (სამხრეთ კორეა) ნაკრები გუნდების მომზადებასა და სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობაზე.

ზოგადად პროგრამის რეალიზაციის პროცესში სეოკ-ი:

- საქართველოს ეროვნულ ანტი-დოპინგურ სააგენტოსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად გაატარებს ქმედით ღონისძიებებს სპორტში დოპინგის გამოყენების თავიდან აცილებისა და დოპინგისაგან თავისუფალი სპორტული ასპარეზოების ჩატარების მიზნით.

- დაეხმარება რიგ ფედერაციებს სპეციალისტების, მწვრთნელების, მსაჯების, მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

- ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიზმის შემდგომი პროპაგანდის მიზნით ჩაატარებს სემინარებს, შეხვედრებს, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე აღნიშნავს გამოჩენილ და ვეტერან სპორტსმენტა ღირსშესანიშნავ თარიღებს, დაამზადებს ოლიმპიურ ატრიბუტიკას, ითანამშრომლებს საგამომცემლო ორგანიზაციებთან.

- გაუმჯობესებს სპორტსმენტა სოციალურ-მატერიალურ პირობებს, დიდი ყურადღებას დაუთმობს მათ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად წვლილს შეიტანს ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვასა და პოპულარიზაციაში.

4 —პროგრამის შესრულების ვადები

დაწყება	01.01.2017წ.
დამთავრება	31.12.2017წ.

5— პროგრამის ობიექტი და მისი მდგომარეობა

პროგრამის ობიექტია საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის კანდიდატები, ეროვნული ნაკრები გუნდის წევრები, ახალგაზრდა სპორტსმენტები, მწვრთნელები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც აქტიურად ემზადებიან 2017 წლის სახადასხვა რანგის (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, თასის გათამაშებები, სალიცენზიო ტურნირები და სხვ.) შეჯიბრებებისათვის.

6— მოსალოდნელი ეფექტი

აღნიშნული პროგრამის დაფინანსება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში სპორტის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას, მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.

გაუმჯობესდება ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსონალური სპორტსმენებით, ხელს შეუწყობს ევროპის ახალგაზრდული ზამთრის ოლიმპიური ფესტივალი "ერზრუმი 2017" (თურქეთი)-ისა და ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი "გიორი -2017" (უნგრეთი)-ისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადებას, აგრეთვე მსოფლიოს ზაფხულის III ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისათვის "ბუენოს-აირესი -2018 " (არგენტინა) ლიცენზიების მაქსიმუმის მოპოვებას და "ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის პიონ-ჩანგი -2018 " ნაკრები გუნდების მომზადებას.

- პროგრამის რეალიზაცია მოიზიდავს ახალგაზრდობას სპორტში და და დაეხმარება მათ სპორტულ დაოსტატებას, ასევე ხელს შეუწყობს ოლიმპიზმის იდეების პოპულარიზაციას.

7 —პროგრამის საერთო ღირებულება

პროგრამის საერთო ღირებულება - 2 000 000 ლარი

დაფინანსება განხორციელდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისათვის სუბსიდირების გზით.

1. ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისათვის (თურქეთი, "ერზრუმი -2017") მზადება და მონაწილეობა
2. ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალისათვის (უნგრეთი, "გიორი-2017") მზადება და მონაწილეობა
3. მსოფლიოს ზაფხულის III-ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშების (არგენტინა, "ბუენოს-აირესი - 2017") სალიცენზიო ტურნირებისათვის მზადება და მონაწილეობა
4. ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის (სამხრეთ კორეა, "პიონ-ჩანგი 2018") მზადება და სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობა.
5. სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა და მათი პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა, ოლიმპიური ბიბლიოთეკისა და ოლიმპიური მუზეუმის მოწყობა-ფუნქციონირება, სეოკ-ის ვებ გვერდის განახლება და გამართული ფუნქციონირება, ოლიმპიური ატრიბუტიკის

დამზადება, ქართული ოლიმპიური მოძრაობის ყოველწლიური მემატანის გამოცემა, წიგნების სერიის „ათენიდან-რიომდე“ მომდევნო ორი წიგნის „ატლანტა-1996“ და „სიდნეი-2000“ მომზადება დაბეჭდვა, ოლიმპიური გარბენისა და ოლიმპიური დღის აღნიშვნა, საყმაწვილო ოლიმპიური ენციკლოპედიის საპრეზენტაციო ღონისძიებების ორგანიზება, განსაკუთრებული წვლილის მქონე პირთა საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. მიზნობრივ ღონისძიებებზე საქართველოს სპორტსმენტა გაცილებად-დახვედრის ცერემონიის მომზადება და სხვ.

ცალკეული ქვეპროგრამები ნაწილდება შემდეგნაირად:

I - ქვეპროგრამა:

ევროპის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიური ფესტივალისათვის (თურქეთი, „ერზრუმი -2017“) მზადება და მონაწილეობა

ერზრუმის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს დელეგაცია სავარაუდოდ წარსდგება 14-16 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 6 სპორტსმენტით :

სამთო-სათხილამურო
სნოუბორდი
ფიგურული სრიალი

4 სპორტსმენი
1 სპორტსმენი
1 სპორტსმენი

საქართველოს წარგზავნილები 2017 წლის იანვრის თვიდან გაივლიან საწვრთნელ შეკრებებს, რათა მაქსიმალურად შესძლონ გამოავლინონ ის პოტენციალი რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნორმალურად იასპარეზონ ერზრუმში. დელეგაცია უზრუნველყოფილი იქნება აგრეთვე ტრანსპორტირებითა და ეკიპირებით.

II - ქვეპროგრამა:

ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალისათვის (უნგრეთი, „გიორი -2017“) მზადება და მონაწილეობა

ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალზე გიორში საქართველოს დელეგაცია წარსდგება სავარაუდოდ 45-50 კაცის შემადგენლობით, მათ შორის 32-35 სპორტსმენტით სპორტის 7 სახეობაში. ესენია:

მძლეოსნობა
ცურვა
ჩოგბურთი
ტანვარჯიში

5-6 სპორტსმენი
3-4 სპორტსმენი
4 სპორტსმენი
2 სპორტსმენი

ველოსპორტი
ძიუდო
კანოე

2-3 სპორტსმენი
12 სპორტსმენი
4 სპორტსმენი

აღნიშნული სპორტსმენები და გუნდები ოსტატობის ამაღლებისა და გამოცდილების მიღების მიზნით გაივლიან საწვრთნელ შეკრებებს და მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ტურნირებში.

თანხა აგრეთვე მოხმარდება დელეგაციის მომზადებას, ეკიპირებასა და გამგზავრებას უნგრეთში ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

III - ქვეპროგრამა:

მსოფლიოს ზაფხულის III ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშების (არგენტინა „ბუენოს-აირესი- 2018“) სალიცენზიო ტურნირებისათვის მზადება და მონაწილეობა

მსოფლიოს ახალგაზრდობის ზაფხულის მე-3 ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებისათვის მზადება დაიწყება თებერვალ-მარტის თვიდან, შემდგომ კი ნაკრები გუნდები და ცალკეული სპორტსმენები სპორტის 28 სახეობაში მონაწილეობას მიიღებენ იმ სალიცენზიო ტურნირებში, რომლებიც საერთაშორისო კალენდარული გეგმით იქნება გათვალისწინებული.

IV- ქვეპროგრამა:

ზამთრის XXIII ოლიმპიური თამაშებისათვის (სამხრეთ კორეა , "პიონ-ჩანგი 2018") მზადება.

ოლიმპიურ თამაშებამდე საქართველოს წარგზავნილები ზამთრის სახეობებში (სამთო სათხილამურო სპორტი, ფიგურული სრიალი , საციგაო სპორტი, სნოუბორდი.) ძირითადად უნდა მოემზადონ საზღვარგარეთ, რაც სახსრების დამატებით ხარჯვას იწვევს, ამასთან აუცილებელია, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღონ რაც შეიძლება მეტ სარეიტინგო და სალიცენზიო ტურნირში, რათა მაქსიმალურად შესძლონ გამოავლინონ ის პოტენციალი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნორმალურად იასპარეზონ პიონ-ჩანგის ოლიმპიურ თამაშებში.

V- ქვეპროგრამა:

სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა და მათი პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა, ოლიმპიური ბიბლიოთეკისა და ოლიმპიური მუზეუმის მოწყობა-ფუნქციონირება, სეოკ-ის ვებ-გვერდის

განახლება და გამართული ფუნქციონირება, ოლიმპიური ატრიბუტიკის დამზადება, ქართული ოლიმპიური მოძრაობის ყოველწლიური მემატთანის გამოცემა, ოლიმპიური ენციკლოპედიის გამოსაცემად მომზადება.

პროექტის - „ერთი ჩემპიონის ისტორიის“ ფარგლებში რიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებზე ლაშა ტალახაძეზე და ვლადიმერ ხინჩეგაშვილზე დოკუმენტური ფილმების მომზადება.

წიგნების სერიის „ათენიდან-რიომდე“ მომდევნო ორი წიგნის „ატლანტა-1996“ და „სიდნეი-2000“ მომზადება და დაბეჭდვა, ოლიმპიური გარბენისა და ოლიმპიური დღის აღნიშვნა, საყმაწვილო ოლიმპიური ენციკლოპედიის საპრეზენტაციო ღონისძიებების ორგანიზება, განსაკუთრებული წვლილის მქონე პირთა საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. მიზნობრივ ღონისძიებებზე საქართველოს სპორტსმენტთა გაცილება-დახვედრის ცერემონიის მომზადება და სხვ.

გასული წლების ანალოგიურად კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება

- ოლიმპიური მოძრაობის განვითარება და პროპაგანდა, ქვეყნის რეგიონებში საგანმანათლებლო და სპორტულ შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება.

- ოლიმპიური ბიბლიოთეკისა და ოლიმპიური მუზეუმის მოწყობა-ფუნქციონირება და მათი შესაძლებლობების ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომობა;

- სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა და მათი პროგრამების ფინანსური მხარდაჭერა;

- სეოკ-ის ვებ გვერდის განახლება და ფუნქციონირება, ოლიმპიური ატრიბუტიკის დამზადება;

- ქართულ ოლიმპიურ და სპორტულ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილის მქონე პირთა საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

- ქართული ოლიმპიური მოძრაობის ყოველწლიური მემატთანის გამოცემა და სხვ.

გარდა ზემოაღნიშნული ქვეპროგრამებისა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაძლოა დაფინანსდეს სპორტის სხვადასხვა (მათ შორის ქართული ჭიდაობა, სამბო და სხვა ეროვნულ) სახეობებში ღონისძიებები (შეჯიბრებები და შეკრებები) და სხვა ხარჯები, რაც ხელს შეუწყობს ოლიმპიზმის პროპაგანდას, უახლოესი რეზერვის მომზადებას როგორც ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალებისათვის, ასევე ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის.

აღნიშნული პროგრამის პირველი შედეგები მიიღება უკვე 2017 წლის იანვრ-თებერვალში, როდესაც დამთავრდება "ერზრუმი-2017" ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის მზადება და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები მონაწილეობას მიიღებენ ასპარეზობებში.

გამოიკვეთება იმ სპორტსმენტა შემადგენლობა რომლებიც უშუალოდ მოემზადებიან "გიორი-2017" ევროპის ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალისათვის. საქართველოს სპორტული დელეგაცია და გულშერმატკივართა ჯგუფი გაემგზავრება უნგრეთში და მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ ფესტივალში.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის წევრები, იასპარეზებენ ახალგაზრდობის მე-3 ოლიმპიური თამაშების "ზუენოს-აირესი-2018" სალიცენზიო ტურნირებში.

განხორციელდება ღონისძიებები ოლიმპიზმის პროპაგანდისა და განვითარების მიმართულებით.

9-პროგრამის რეალიზაციის მარკეტინგული სტრატეგიის და რისკის შეფასება

პროგრამის რეალიზაციის მარკეტინგული სტრატეგია უშუალო კავშირშია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორთან, როგორსაც წარმოადგენს: საქართველოს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და პოპულარიზაცია; საერთაშორისო არენაზე საქართველოს ღირსების რეალურად წარმოდგენა და მისი ავტორიტეტის გაზრდა; ქართველ სპორტსმენტა სპორტული შედეგების გაუმჯობესება, ოლიმპიზმის პროპაგანდა, ფიზიკურად ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და ა.შ.

ეს ყველაფერი რეალურად გვიჩვენებს პროგრამის მნიშვნელობას და მარკეტინგულ სტრატეგიას, ხოლო რაც შეეხება უარყოფით შედეგებს და მარკეტინგულ რისკს, ამ პროგრამას აღნიშნული არ გააჩნია.

10-პროგრამის შედეგების სავარაუდო მომხმარებლები

აღნიშნულ პროგრამის ძირითადი მომხმარებელია საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი, რომელიც ჩაბმულია პროფესიულ, მასობრივ (სპორტულ-გამაჯანსაღებელ) სპორტში და ოლიმპიურ მოძრაობაში, პროგრამის შედეგების ირიბი მომხმარებელია საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც ტელევიზიის, პრესის, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით თვალს ადევნებს, აქტიურად გამოხატავს მხარდაჭერას და სპორტის მეშვეობით იუმჯობესებს თავის ფიზიკურ და სულიერ მდგომარებას.

11 პროგრამის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულება

პროგრამის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო დაწესებულებაა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად.